ხვალ თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს ალკკ XXXI ყრილობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 34 (6099)

1978 წ. 16 თებერვალი ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# კომკავშირი — სიჯანსაღისა და სიჭაბუკის ალამდარი




## საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობა

## რომანტიკის ლაღი ფრთები

კომკავშირსა და სპორტულ მოძრაობას ბევრი რამ აქვთ საერთო. ორივე მარადიულ სიჭაბუკეს, ადამიანის ცხოვრების მარადიულ გაზაფხულს გულისხმობს; ორივე ჭაბუკური ენერგიის, მიზანსწრაფვის, სიმხნევის, ურთიერთსოლიდარობისა და ძლიერების სიმბოლოა. ამიტომ კომკავშირი და სპორტი განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, უერთმანეთოდ მათი წარმოდგენა შეუძლებელია. იყო კარგი კომკავშირელი — ეს ნიშნავს იყო კარგი სპორტსმენიც, რადგან ღირსეული ახალგაზრდა მოქალაქე, რომელიც ზრუნავს ქვეყნისთვის, მშობლიური კოლექტივისთვის, ოჯახისთვის და საკუთარი თავის სრულყოფისთვის, უსპორტოდ ჰარმონიულად განვითარებულ — ჩამოყალიბებულ ადამიანად ვერ ჩაითვლება. ეს უპირველესი პირობაა, რომელსაც თანამედროვეობა უყენებს ახალგაზრდობას. მაგრამ იყო კომკავშირელი და სპორტსმენი, არ ნიშნავს იმას, რომ მარტოოდენ საკუთარი თავის სრულყოფისთვის ზრუნავდე. ყველა სხვა სიკეთესთან ერთად კომკავშირის ერთი ჩინებული თვისებაა კოლექტივიზმი, თანადგომა, ამხანაგობა. კარგი სპორტსმენი კოლექტივისაგან განცალკევებულ-განმარტოებული ინდივიდი როდია. იგი სხვასაც ეხმარება, საკუთარი მაგალითით მეგობარ-ამხანაგებსაც უჩვენებს, როგორი უნდა იყოს მამა-პაპათა საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი ყმაწვილი კაცი. ამიტომაა, რომ კომკავშირელი, ურიცხვი კეთილი და სასარგებლო საქმის ინიციატორად გამოდის; ამიტომაა, რომ იგი სხვებსაც აიყოლიებს და კარვების რომანტიკას ამჯობინებს ქალაქის კომფორტსა და რესპექტაბელურ ყოფას; ამიტომაა, რომ ერთის მაგალითი ყველასათვის საზიარო ხდება, რადგანაც ასეთია კომკავშირის ბუნება და ხასიათი, ასე ზრდის იგი თავის წევრებს, პარტიის ერთგულ თანაშემწეებს.

კომკავშირი და სპორტი — ეს დიდი, ყოვლისმომცველი და ზედმიწევნით მნიშვნელოვანი თემაა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, როგორ ააშენებდა პირველ ხუთწლედებს ფიზიკურად უილაჯო და სუსტი ახალგაზრდა, როგორ იდგებოდა დღე და ღამე იგი ქარხნისა თუ ფაბრიკის დაზგასთან, როგორ გატეხდა ყამირს, როგორ აღადგენდა სამოქალაქო და სამამულო ომების შემდეგ დანგრეულ ქალაქებსა და სოფლებს, როგორ გასწევდა საუკუნეობით მდუმარე თვალუწვდენელი ტაიგისაკენ, რათა პირველი გზა გაეყვანა და ახალი სიცოცხლისათვის მიეცა დასაბამი...

გაიხსენეთ ის დაუვიწყარი პირველი ხუთწლედები, მზეზე გარუჯული და ნახშირისაგან გამავებული სახეები, რომლებიც თვალისმომჭრელი ღიმილითაა განათებული, გაიხსენეთ კუნთებმაგარი ახალგაზრდა მეშახტეები, მექანიზატორები, მშენებლები... ამ ძველი პლაკატებიდან ასხივებს სინათლე, რომელიც სუფევს ძლიერი სულისა და სხეულის მქონე ადამიანში. გაიხსენეთ ისიც, ილაჯგამცლელი შრომის შემდეგ როგორ არ ტოვებდა ახალგაზრდობას სიცოცხლის, შეჯიბრების, ორგანიზმის გაკაჟების ხალისი და სურვილი. ძველ ფოტოებზე ვხედავთ იმპროვიზებულ, ბალახგადაცლილ ტრიალ მოედნებზე თავმოყრილ ახალგაზრდებს, რომლებიც აქ პირდაპირ სამუშაოდან მოდიოდნენ, რათა თავიანთი სული და სხეული გაეკეთილშობილებინათ ფიზკულტურასა და სპორტთან კონტაქტით. ეს იყო არა მარტო მოთხოვნილება სხეულის წრთობისა, არამედ დიდი სურვილი სპორტთან წილნაყართ თავიანთი შრომით მეტი სარგებლობა მოეტანათ ქვეყნისათვის. დიახ, მათ ღრმად სწამდათ, რომ სოციალიზმს, შემდგომ კი კომუნიზმს სულიერი და ფიზიკური თვალსაზრისით ჰარმონიულად განვითარებული თაობა ააშენებს. ეს სულისკვეთება პირველმა კომკავშირელებმა მომდევნო თაობებსაც უანდერძეს. რამდენი რამ გადაიღო შთამომავლობამ თავიანთი წინამორბედებისაგან. განა პირველსავე ახალი ფიზკულტურული კომპლექსისა, რომელიც ძლევამოსილად დააბიჯებს საბჭოთა ქვეყანაში, საკავშირო კომკავშირის ინიციატივა არ არის? გაიხსენეთ რა იყო იმ პირველი თაოსნობის ლოზუნგი: შრომისა და თავდაცვისათვის ახალგაზრდობის გამოცდა. ამ თაოსნობას უდიდესი გამოძახილი ჰქონდა მთელს საბჭოთა ქვეყანაში, ხოლო მშდ-ს ნიშნის ბედნიერი მფლობელები მკერდიდან არ იცილებდნენ სიჩაუქისა და ჯომარდობის მაჩვენებელ ჯილდოს. გაიხსენეთ ისიც, რომ მშდ-ს პირველი ნიშნოსანი იყო ლეგენდარული მხედართმთავარი კლიმენტი ვოროშილოვი. ახალგაზრდობას კი უკეთესი მაგალითი არც შეიძლებოდა ჰყოლოდა.

დიახ, მშდ-ს ნიშნოსნები ისევე სჭირდებოდა ქვეყანას, როგორც მეფოლადეები და ფეიქრები, მალაროელები და ტრაქტორისტები, ინჟინრები და აგრონომები... და ყოველივე ეს შთაგონებული და გამთბარი იყო ახალგაზრდული ენერგიით, ახლის შენების სურვილით, მიუღწევლის მიღწევის მცდელობით. აი, რაოდენ ბევრს ნიშნავდა ახალგაზრდა ქვეყნისათვის ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობა, რომლის ერთ-ერთ ალამდარად მუდამ კომკავშირი გვევლინებოდა.

პირველ კომკავშირელ ენთუზიასტებსა და ჩვენი დღეების კომკავშირელებს ბევრი, ძალზე ბევრი რამ აქვთ საერთო. მიზნების ეს მსგავსება და ერთობა კვლავინდებურად ძალუმად ცნაურდება ისეთ სფეროშიც, როგორიც ფიზკულტურა და სპორტია. დღევანდელ კომკავშირელებს ისევე ბევრი აქვთ ასაშენებელი, გასაკეთებელი და მისაღწევი, როგორც მათ სახელოვან წინამორბედებს. და ჩვენ კვლავ მომსწრენი ვართ იმავე მომხიბლავი კომკავშირული რომანტიკისა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო პირველი კომკავშირელებისათვის. თანამედროვე ახალგაზრდას მაგიური ძალით იზიდავს ჯერაც შეუცნობელი და აუთვისებელი არეები და სივრცეები, უზარმაზარ ფართობზეა გადაშლილი თანამედროვე კომკავშირელის თვალსაწიერი და სასპარეზო. ნაბერეჟნიეჩელნი ათასობით კილომეტრითაა დაშორებული საუკუნის მშენებარე მაგისტრალს, ისევე როგორც ენგურჰესს. მაგრამ, ნახეთ, რა სულიერი ერთობა, რაოდენ მომაჯადოებელი რომანტიკა აერთებს მათ, როგორ ჰგვანან ამ უდიდესი ობიექტების ახალგაზრდა მშენებლები ერთმანეთს: არა მარტო დიდი მონდომებითა და პროფესიული ოსტატობით, არამედ რომანტიკის შეუნელებელი წყურვილითაც.

ვიყოთ გულახდილნი: წინა თაობების კომკავშირელებსა და დღევანდელ კომკავშირელებს შორის არის განსხვავება. რისი გაკეთებაც წინათ ბარითა და ნიჩბით უხდებოდათ, ის ახლა უძლიერესი მანქანა-მოწყობილობებით კეთდება, მაგრამ შესაბამისად გაიზარდა სამუშაოს ინტენსივობა და მასშტაბები. ამიტომ ქვეყნის დღევანდელი მშენებელი არათუ არ უნდა ჩამოუვარდებოდეს კუნთების ძალით წინამორბედთ, არამედ უნდა სჯობდეს კიდეც. ამას მოითხოვს დღევანდელი დღე, ამას მოითხოვს საქმე, მოითხოვს ქვეყანა, მოითხოვს ახალგაზრდის სულიერი ინტერესები.

და როგორც მაშინ, პირველ დაუვიწყარ ხუთწლედებში, ახლაც კომკავშირია ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობის უპირველესი თაოსანი და მოკავშირე. გამუდმებით იხვეწება და ვითარდება ქალიშვილებისა და ჭაბუკების ფიზიკური აღზრდის კულტურის ფორმები და საშუალებები. მარტო ის რად ღირს, რომ რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ბავშვებისა და მოზარდებისათვის შეიქმნა ბორის პაიჭაძის, ვიქტორ სანეევის, ნონა გაფრინდაშვილის, ვახტანგ ბალავაძისა და სხვა განთქმულ სპორტსმენთა კლუბები, ფიზიკური აღზრდისა და წრთობის თვალსაჩინო კერები, სადაც ათასობით ნორჩი დაეწაფება ფიზკულტურისა და სპორტის თავანკარა წყაროს. კომკავშირმა წამოიწყო და ხორცი შეასხა მთელს ქვეყანაში დიდად პოპულარულ შეჯიბრებებს, რომელთა უპირველესი მიზანია ჯერ ფიზკულტურის დანერგვა მოზარდებში, ხოლო შემდგომ მათი რიგებიდან საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენა. ამ შეჯიბრებების სახელწოდებები ყველამ კარგად იცის: „იმედის სტარტები", „ტყავის ბურთი", „თეთრი ეტლი" და მრავალი სხვა.

კომკავშირი — ნიშნავს ინიციატივას, თავისთავადობას, კეთილი საქმეების უანგარო და დაუზარებლად ქმნას. ამის საუკეთესო ნიმუში გვიჩვენეს მაღალმთიანი მესტიის რაიონის ახალგაზრდებმა, რომლებმაც თავისი ხელით ააშენეს სოფელ მულახში ახალი სპორტული კომპლექსი. და რადგანაც კომკავშირი ასევე გულისხმობს კეთილი საქმეების უყოყმანოდ მხარის აბმასა და ინიციატივის მხარდაჭერას, უნდა ვიფიქროთ, მულახელთა მაგალითი სანიმუშო იქნება რესპუბლიკის სხვა რაიონების ახალგაზრდებისთვისაც.

დიახ, ბევრია გაკეთებული, ბევრი ახალგაზრდა მეგობრობს ფიზკულტურასა და სპორტთან, ერთიცა და მეორეც მათთვის სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა. მაგრამ კომკავშირმა იცის, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. არ დაცხრება იგი, ვიდრე თითოეული ახალგაზრდა არ გახდება მშდ-ს ნიშნოსანი; არ დაცხრება იგი, ვიდრე ყოველი ახალგაზრდა არ დაუკავშირდება სპორტის კეთილშობილურ სამყაროს.

## სეზონი გაიხსნა

**ჟდანოვი,** (საკდესი). სარატოველი სპორტსმენის ე. გორინას (რომელმაც ქულათა საუკეთესო ჯამი — 627,86 მოაგროვა სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში) და ათმეტრიანი კოშკიდან ხტომაში გამარჯვებული ერევნელი დ. ამბარცუმიანის (822,51) წარმატებებმა განაპირობა „დინამოს" გამარჯვება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე წყალში მხტომელთა შეჯიბრებაში. გუნდური პირველობის ფინალში ქალთა შორის კოშკიდან ხტომაში საუკეთესო იყო ე. ვაიცეხოვსკაია (შეიარაღებული ძალები) — 567,95, ტრამპლინიდან ხტომაში ვაჟთა შორის ყველას აჯობა მინსკელმა ა. კოსენკოვმა („სპარტაკი") — 826,40.

შეჯიბრებამ, რომლითაც საბჭოთა წყალში მხტომელები ტრადიციისამებრ ახალ სეზონს იწყებენ, ჟდანოვის აუზ „ნეპტუნში" უძლიერეს სპორტსმენებს მოუყარა თავი. ასპარეზობაში ავადმყოფობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო მსოფლიო ჩემპიონმა ი. კალინინამ.

## კალათბურთი

**ბუშინწინ** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში შედგა ერთი მატჩი.

კაუნასის „ჟალგირისმა" უმასპინძლა ტალინის „კალევს". გაიმარჯვეს კაუნასელებმა 108:92 (58:51). სტუმრები მთელი მატჩის მანძილზე ცდილობდნენ „დაწეოდნენ" მასპინძლებს და ეს მხოლოდ ერთხელ, 32-ე წუთზე შეძლეს, როცა ანგარიში 69:69 გახდა. ამის შემდეგ კაუნასელები დაწინაურდნენ და ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან ინიციატივა. გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინა ლინკიავიჩიუსმა—22 ქულა, დამარცხებულთაგან აბელიანოვმა — 23.

## ფარიკაობა

**ამ დღეებში** თბილისის ფარიკაობის დარბაზში გაიმართა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა ფარიკაობაში. სასპარეზოდ გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური, ფიზკულტურისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების საუკეთესო მუშკეტერები (სულ 62 სპორტსმენი). რაპირისტ ქალთა შორის საზოგადოების ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ლ. ზერაძე. ამავე იარაღით ვაჟებში იმარჯვა გ. აბაშიძემ, ხმლით მოფარიკავეთა შორის პირველი იყო თ. ესართია (სამივე — სპი), ხოლო დაშნით — დ. დავითაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

სამწუხაროდ, ამ საინტერესო შეჯიბრებას თავი აარიდეს რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენებმა.

ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდობა, კომკავშირი და სპორტი — ერთი ცნების სამი განუყოფელი ნაწილი

ხვალ, 17 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეიკრიბებიან ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები და საზეიმო ვითარებაში გაიხსნება საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობა.

საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი — ლენინური კომკავშირი მუდამ იყო და არის ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე, მის წინასწარგანზრახულობათა შემსრულებელი. ლენინურმა კომკავშირმა თავი ისახელა მრავალ დიდმნიშვნელოვან საქმეში — დიდ სამამულო ომში, მშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებში, მრეწველობაში.

ლენინური კომკავშირის ღვიძლი საქმეა ფიზკულტურა და სპორტი. ამიტომაა, რომ იგი ასე ზრუნავს საბჭოთა ახალგაზრდობის ფიზიკური გაკაჟებისთვის, კომუნიზმის მშენებელი ახალგაზრდების სიჯანსაღისთვის. ლენინური კომკავშირის მიერ ფიზკულტურისა და სპორტის მიმართ გამოჩენილი ყურადღების ერთ-ერთი დადასტურებაა ი... რომ საქართველოს კომკავშირის XXX... ყრილობის დელეგატთა შორის არიან ჩვენ... სასიქადულო სპორტსმენები, რომლებმა... დიდების შარავანდედით შემოსეს ქართულ... სპორტი. ჩვენი საზოგადოება კარგად იც... ნობს ყოველ მათგანს, მათ შესახებ ხომ არ... ერთხელ დაგვისტამბავს ნარკვევები და სტ... ტიები ჩვენს გაზეთში. ამიტომ, დღეს, მკით... ხველებს მოკლე ცნობებს ვაწვდით დელე... გატ-სპორტსმენებზე.

## აი ისინიც, დიდი სპორტის წარმომადგენლები საქართველოს ალკკ XXXI ყრილობაზე:








### ნონა გაფრინდაშვილი

მოჭადრაკე, ცსკა, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირისა და საერთაშორისო დიდოსტატი, ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქალთა შორის ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონი და ქალთა შორის ევროპის თასის მფლობელი. ლენინის ორდენის და მედლების „შრომითი წარჩინებისთვის" და „სპორტული დიდების" კავალერი. არის ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრის ასისტენტი.



### ნანა ალექსანდრია

მოჭადრაკე, „ბურევესტნიკი", სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო დიდოსტატი, ქალთა შორის სამგზის სსრ კავშირის ჩემპიონი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, ქალთა შორის ევროპის თასის მფლობელი. არჩეულია თბილისის საქალაქო საბჭოს სახალხო დეპუტატად. მუშაობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული განყოფილების ჭადრაკის კომენტატორად.

### მაია ჩიბურდანიძე

მოჭადრაკე, „დინამო", საერთაშორისო დიდოსტატი. გოგონათა შორის სსრ კავშირის 1976 წლის ჩემპიონი, ქალთა შორის სსრ კავშირის 1977 წლის ჩემპიონი. სწავლობს თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის X კლასში.

### ნანა იოსელიანი

მოჭადრაკე, „გაწთიადი" (სპორტული კლუბი „უშბა"), სპორტის ოსტატი. ქალთა შორის სსრ კავშირის 1977 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, გოგონათა შორის ევროპის 1978 წლის თასის მფლობელი. სწავლობს თბილისის 180-ე საშუალო სკოლის IX კლასში.

### ვიქტორ სანეევი

მძლეოსანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სამხტომში ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი და ევროპის პირველობებში რვაგზის გამარჯვებული, სსრ კავშირის ჩემპიონის 7 ოქროს მედლის მფლობელი, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი, ევროპის რეკორდსმენი (17,44). ლენინის, შრომის წითელი დროშისა და ხალხთა მეგობრობის ორდენების კავალერი, სპორტსაზოგადოება „დინამოს" წევრი, შინაგან საქმეთა ჯარების მაიორი.

### ლევან თედიაშვილი

თავისუფალი სტილის მოჭიდავე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, ლენინისა და „საპატიო ნიშნის" ორდენების კავალერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სპორტსაზოგადოება „დინამოს" წევრი.

### შოთა ჩოჩიშვილი

ძიუდოისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორი, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი. „საპატიო ნიშნის" ორდენის კავალე-

### დავით კვაჭაძე

მოკრივე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ორგზის და ევროპის ჩემპიონი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრი.

### ალექსანდრე ანპილოგოვი

ხელბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრი.

### დავით ყიფიანი

ფეხბურთელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, 197[illegible] წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ჩვენი ქვეყნის 197[illegible] წლის № 1 ფეხბურთელი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

### ავთანდილ მაისურაძე

კლასიკური სტილის მოჭიდავე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, საბჭოთა კავშირისა და ევროპის თასების ორგზის მფლობელი, ჩვენი ქვეყნის 1976 წლის აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებული, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, არმიის სპორტული კლუბის წევრი.

### ნიკოლოზ დერიუგინი

კალათბურთელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისის „დინამოსა" [illegible] საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, II საკავშირო ახალგაზრდულ[illegible] თამაშების ჩემპიონი, სსრ კავშირის 1977 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.







ეროვნული ბიბლიოთეკა



## ფეხბურთი

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ტურნირი მინი-ფეხბურთში. შეჯიბრება მიმდინარეობს ორ ასაკობრივ ჯგუფს (1964 და 1965 წლებში დაბადებული მოსწავლეები) შორის სპორტის სასახლის პრიზზე.

* * *

სურათებზე: „სიხარულისა“ და „კრწანისის“ გუნდების შეხვედრის მომენტები. პირველი გოლი „კრწანისელთა“ კარში.

ე. ხუცურაულის ფოტოები.



## ჭადრაკი

# მეცხრე პარტია

სამშაბათს, ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მ. ჩიბურდანიძე — ა. კუშნირის ფინალურ მატჩში IX პარტია გათამაშდა.

ნორჩმა პრეტენდენტმა კუშნირის ლაზიერის პაიკს წინსვლაზე მეხუთედ აირჩია ძველინდური დაცვა. კუშნირმა კვლავ მიმართა VII პარტიაში გამოყენებულ სისტემას, რომელმაც მას მცირე სადებიუტო უპირატესობა მოუტანა. ჩიბურდანიძემ ამჯერადაც ჩვეულებრივი ქარგის მიხედვით წარმართა თამაში და ცენტრში სუსტი პაიკი მიიღო, რომლის აღება მეტოქეს ზევრჯერ შესთავაზა, მაგრამ კუშნირი არ ჩქარობდა, რადგან ამ პაიკის არსებობა მას ხელს აძლევდა.

ჩიბურდანიძე სწორ სტრატეგიას დაადგა, როცა ფიგურებით თამაში გააჩაღა. მე-15 სვლისთვის შეიქმნა ეგრეთ წოდებული დინამიური თანაფარდობა. კუშნირი ფიქრობდა ფიგურების გაცვლით უფრო გამოეკვეთა შავების პოზიციის ნაკლი. მაია გართულების გზის ძებნაში იყო.

ჩიბურდანიძემ თავისი ლაზიერი აამოქმედა, რასაც რამდენიმე ფიგურის, მათ შორის ლაზიერის გაცვლა და მრავალფიგურიანი ენდშპილი მოჰყვა. საბოლოოდ კუშნირს ორი კუს უპირატესობა დარჩა. მისი ეტლი შავების პოზიციაში შეიჭრა. ქართველ დიდოსტატს საფიქრალი გაუჩნდა.

გარკვეულ მომენტამდე ჩიბურდანიძე მეფის ფრთაზე თამაშობდა. მან ნაწილობრივ შებოჭა მეტოქის კუთა მოძრავუნარიანობა, მაგრამ 33-ე სვლაზე, პაიკის გაცვლის შემდეგ, კვლავ გაიხსნა დიაგონალები და კუშნირიც გააქტიურდა.

ჩიბურდანიძემ არ ისურვა სუსტი ცენტრალური პაიკის დაცვა, გასწირა იგი, რომ ეტლით დასხმოდა თავს თეთრ გვირგვინოსანს. ამჯერად კუშნირმა აიყვანა ეს პაიკი და მის შესანარჩუნებლად ერთი კუ გაცვალა.

პარტია გადაიდო კუშნირის უპირატესობით.

**კუშნირი — ჩიბურდანიძე**

**ძველინდური დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. მf3 0—0 5. კf4 c5 6. d5 d6 7. ლd2 ეe8 8. ეd1 e6 9. de კ:e6 10. e3 მc6 11. კe2 ლa5 12 0—0 ეad8 13. მg5 კf5 14. h3 h6 15. მf3 ლb4 16. a3 ლb3 17. ლc1 მe4 18. მ:e4 კ:e4 19. მd2 ლ:b2 20. ლ:b2 კ:b2 21. მ:e4 ე:e4 22. ეb1 კ:a3 23. ე:b7 g5 24. კg3 ეe7 25. ე:e7 მ:e7 26. ეa1 კb2 27. ე:a7 კf6 28. კg4 მფg7 29. ეc7 მფg6 30. კf3 h5 31 კe4+ მფg7 32. მფf1 g4 33. hg hg 34. კd3 ეa8 35. კ:d6 ეa1+ 36. მფe2 ეa2+ 37. მფd1 მg6 38. კ:g6 მფ:g6 39. კg3 ეa5 40. ეc6 მფf5. პარტია გადაიდო.

41-ე სვლა კუშნირმა ჩაიწერა.

ეს პარტია გუშინ გვიან დამთავრდებოდა.

მატჩის ანგარიშია 5:3 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

დღეს, 16 თებერვალს X პარტია უნდა გათამაშდეს.

# მოკრივეთა ახალი შეჯიბრება

მოკრივეთა ახალი საინტერესო შეჯიბრების — მსოფლიო თასზე ასპარეზობის ჩატარება დაგეგმილია 1979 წლის ოქტომბრისათვის. ასე გადაწყვიტა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) აღმასრულებელმა კომიტეტმა სან-ხუანში ახლახან ჩატარებულ სხდომაზე.

— ეს კონტინენტთა გუნდური შეჯიბრებაა, რომელიც აშშ-ში ან კანადაში მოეწყობა, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა აიბა-ს პრეზიდენტმა ნ. ნიკიფოროვ-დენისოვმა. — ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის წარმომადგენლები ასპარეზობას ორ-ორი გუნდით აპირებენ, ავსტრალია კი — ერთით. ამასთან აიბა-ს საკონტინენტო ბიუროს ხელმძღვანელებს უფლება აქვთ ტურნირზე გააგზავნონ საუკეთესო ეროვნული გუნდები ან ქვეყნის ნაკრებები და აგრეთვე სურვილისამებრ ჩარიცხონ მასში სპორტსმენები.

ტურნირის ორგანიზატორებს შეუძლიათ გამოიყვანონ ცალკე ეროვნული ნაკრები გუნდი. მსოფლიო თასზე შეჯიბრების ჩატარებისთვის განაცხადები გამოგზავნეს ნიუ-იორკისა და მონრეალის სპორტულმა ორგანიზაციებმა.

აიბა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა და მოიწონა რუმინეთის კრივის ფედერაციის მუშაობა იუნიორთა შორის პირველი მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობისთვის. ეს ტურნირიც 1979 წელს ჩატარდება, ოღონდ გაზაფხულზე.

როგორც ცნობილია, წლეულს მაისში იუგოსლავიის დედაქალაქში გაიმართება რიგით მეორე მსოფლიო ჩემპიონატი უფროსი ასაკის მოკრივეთათვის (პირველი ჩატარდა 1974 წელს ჰავანაში). საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე მიიღო განაცხადი 43 ქვეყნის ეროვნული ფედერაციისგან, მათ შორის 18 სრული გუნდით (11 სპორტსმენი) ჩამოვა. ასპარეზობა გაიმართება ბელგრადის სპორტის სასახლე „პიონერში“, სადაც 1973 წელს ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი. მსაჯობის დონისა და ობიექტურობის ამაღლების მიზნით აღმასრულებელმა კომიტეტმა პირველად მიიღო გადაწყვეტილება, რომ არბიტრები თანაბარი რაოდენობით იყოს ყოველი კონტინენტიდან. 36 შერჩეული მსაჯიდან 10 ევროპის ქვეყნებიდანაა.

განიხილეს ბევრი სხვა საკითხიც, რომლებმაც ნათელჰყვეს, რომ აღმასრულებელი კომიტეტი მუშაობს ასოციაციის 1974 წლის კონგრესზე მიღებული პროგრამის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს მსაჯობის სრულყოფას, იმ ქვეყნების დახმარებას, სადაც დანერგილია კრივი და, რაც მთავარია, სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის პროპაგანდას ახალგაზრდებს შორის.

ამჟამად აიბა-ში გაერთიანებულია 125 ეროვნული ფედერაცია. იგი პოპულარობით მეოთხე ადგილზეა მძლეოსნობის, ფეხბურთისა და კალათბურთის შემდეგ (საკდესი).

ჩვენი პლანეტის უძლიერესი „მფრინავი მოთხილამურეებისთვის“ სეზონის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზობაა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც გაიმართება ფინეთის ცნობილ სამთო კურორტ ლაჰტიში 17-26 თებერვალს. ამ საპასუხისმგებლო სტარტებისთვის გულმოდგინედ ემზადებიან საბჭოთა მოთხილამურეები და მათი უცხოელი კონკურენტები.

როდესაც საზღვარგარეთის „მფრინავ მოთხილამურეებზე“ ლაპარაკი, პირველ ყოვლისა ასახელებენ ავსტრიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს. მაგრამ თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა ისეთი „მერყევი“ ოლიმპიური დისტანციაა, რომ არასოდეს არ შეიძლება დაბეჯითებით ლაპარაკი ფავორიტებზე. მართალია, ავსტრიისა და გდრ-ის მხტომელებს ბოლო ხანებში მოწინავე პოზიცია უკავიათ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ამა ქვეყნის ძლიერთა დავაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩეხოსლოვაკიის, ნორვეგიის ან ფედერაციული გერმანიის წარმომადგენლებმა. არაფერს ვამბობთ ფინელებზე. ისინი ხომ ტრამპლინის მასპინძლები იქნებიან და, ცხადია, უბრძოლველად არავის დაუთმობენ ასპარეზს.

ავსტრიის გუნდს წვრთნის ცნობილი და საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტი ბ. პრაიმლი, რომელიც ამ ქვეყნის სპორტსმენთა ბევრი ბრწყინვალე წარმატების თანაავტორია. პრაიმლს მიაჩნია, რომ მის გუნდში არის ოთხი-ხუთი მხტომელი, რომლებიც უსათუოდ მიაღწევენ საწადელს. ყველაზე დიდ იმედს ავსტრიელები ამყარებენ მსოფლიოს რეკორდსმენზე ა. ინაუერზე, რომლის მიერ ნაჩვენები შედეგი ობერსდორფის ტრამპლინზე — 176 მეტრი დღემდე ურყევად დგას. მასთან ერთად წარმატებაზე ფიქრის ერთნაირი შანსები აქვთ ოლიმპიურ ჩემპიონს კ. შნაბლს და 25 წლის ჰ. მილონგს. არის კიდევ ერთი გვარი, რომელსაც მწვრთნელი სასოებით უფრთხილდება. ესაა სპორტული სამყაროსთვის ჯერჯერობით უცნობი ე. კოგლერი, რომელზეც სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ.

მაგრამ პრაიმლს მოსვენებას არ აძლევს გდრ-ის მოთხილამურეთა ოსტატობის სწრაფი ზრდა და მათი ბოლოდროინდელი წარმატებები. საქმე ისაა, რომ დემოკრატიული გერმანიის წარმომადგენლებმა გასულ სეზონში სერიოზულად შეარყიეს ავსტრიელთა საერთაშორისო ავტორიტეტი. მაგრამ პრაიმლს უფრო მეტად ის აშინებს, რომ გერმანელმა სპეციალისტებმა ადვილად და უმტკივნეულოდ შეცვალეს სარბიელიდან წასული ვეტერანები: ჰ. გ. აშენბახი, რ. შმიდტი და ჰ. ვოზიპივო. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის პრობლემას არ წარმოადგენს ნაკრები გუნდის დაკომპლექტება მაღალი კლასის ოსტატებით. ე. ი. მათგან ყველანაირი სიურპრიზია მოსალოდნელი.

ნაკრებში წამყვანი ფიგურაა 24 წლის ი. დანებერგი, აგრეთვე, ჰ. გლასი, რომელიც ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონია ტრამპლინიდან შორს ხტომაში. ლაჰტის-ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლის თანაბარი შანსები აქვთ ჰ. დუშეკს, თ. მეიზინგერს, მ. ვებერს, ფ. ვეისპფლოგს, ი. თომასს, ბ. ეკშტეინსა და 18 წლის მ. ბუზერს. დააკვირდით ნაკრების კანდიდატთა სიმრავლეს და ადვილი გასაგები გახდება ავსტრიელი სპეციალისტების შეშფოთების მიზეზი.

თაობათა ცვლა მოხდა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ნაკრებშიც, რომელმაც უსათუოდ შეამცირა ამ ქვეყნის მხტომელთა შანსები საერთაშორისო სარბიელზე. რა თქმა უნდა, ძნელია ერთბაშად მოუნახო სრულფასოვანი ცვლა ისეთ ოსტატებს, როგორებიც იყვნენ ი. რაშკა, კ. კოდეიშკა და ზ. ჰიონლია. მაგრამ სულ რაღაც სამიოდე წლის მანძილზე ჩეხოსლოვაკიაში აღიზარდა ახალგაზრდა მოთხილამურეთა მთელი პლეადა, რომელთაგან დღეს, სხვებზე უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებენ ი. ტანჩოსი, ფ. ნოვაკი, ი. სამეკი. მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები უფრო მომავლის გუნდია, რომელსაც შეუძლია გულდამშვიდებით იფიქროს 1980 წლის ოლიმპიადაზე.

უკვე ჩამოთვლილ ფავორიტებს ყველაზე სერიოზული კონკურენცია შეუძლიათ გაუწიონ ფინელმა მხტომელებმა, ვინაიდან ისინი შინ იასპარეზებენ. ფინეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელები ნ. ჰალონენი და ე. კირიონენი ერთხანს თავზარდაცემული იყვნენ იმის გამო, რომ გუნდის ლიდერმა ე. რაუტიონახომ მძიმე ტრავმა მიიღო და დიდხანს ვერ გამოდიოდა სავარჯიშოდ. მაგრამ მძიმე პერიოდი უკან დარჩა და ლიდერმა წარმატებით აღიდგინა ფორმა.

ფინეთის ნაკრების იმედად ითვლება 23 წლის ი. ტერმიანენი, რომელსაც სპეციალისტები ორმაგ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ ლაჰტში. ტერმიანენი წარმოშობით ლაჰტიდანაა. მან ზედმიწევნით კარგად იცის ორივე ტრამპლინის თავისებურება, ეს კი დიდი კოზირია უცხოელ კონკურენტებთან ბრძოლაში. ხოლო რაც შეეხება ორმაგ წარმატებას, ანუ „დუბლს“, სათხილამურო სპორტის ისტორიაში ეს არც ისე იშვიათი რამაა. საკმარისია გავიხსენოთ ბ. ვირკოლას 1966 წლის წარმატება, გ. ნაპალკოვის ორი ბრწყინვალე ნახტომი 1970 წელს, ან ჰ. გ. აშენბახის დაუვიწყარი „დუბლი“ 1974 წელს.

ნორვეგიის გუნდში მოხდა მწვრთნელთა ცვლა. ნაკრების ახალმა დამრიგებელმა ოვე ბერგმა, რომელიც ორიოდე წლის წინ წარმატებით იცავდა ქვეყნის ღირსებას, სერიოზულად მოკიდა საქმეს ხელი და საფუძვლიანად გადაახალისა გუნდის შემადგენლობა. ნაკრებში ფაქტიურად დარჩა მხოლოდ ერთი ვეტერანი — 26 წლის ი. სეტრე. დანარჩენი კანდიდატები ახალგაზრდებია, რომელთა ასაკი 20-21 წლის ფარგლებში მერყეობს: პ. ბერგერუდი, რ. ხაუგე, რ. რუდი, პ. ნორდლეინი და სხვები.



# „მფრინავი მოთხილამურეები“ — ფინიშის სწორზე

მაგრამ ნორვეგიის სპორტსმენებს ტრადიციულად არ წყალობთ ბედი მსოფლიო ჩემპიონატებში (ვირკოლას გარდა). ისინი იშვიათად აღწევენ იმას, რისი შესაძლებლობაც აქვთ და რისი ღირსნიც არიან. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ამის მიზეზი ერთის მხრივ ფსიქოლოგიური მოუმზადებლობაა, მეორის მხრივ კი საკუთარი შესაძლებლობების გადაფასება. ახალი მწვრთნელი ცდილობს მოძებნოს ოპტიმალური ვარიანტი ამ ორ მოვლენას შორის. და თუ ეს გადაწყდა, ნორვეგიის მხტომელებს გზა გაეხსნებათ უმაღლესი ტიტულებისკენ.

დაბოლოს რამდენიმე სიტყვა გფრ-სა და შვეიცარიის მხტომელებზე. ამ ქვეყნებში არ არის თანაბარი ოსტატობის მქონე სპორტსმენთა ძლიერი ჯგუფი, მაგრამ ლიდერები უსათუოდ ანგარიშგასაწევია. ასე მაგალითად, 27 წლის გერმანელი ა. გროშესგან ყველა რანგის წარმატებაა მოსალოდნელი, ხოლო შვეიცარიელი ვ. შტაინერი გასულ სპორტულ სეზონში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მხტომელად იქნა მიჩნეული. 27 წლის შტაინერი დღესაც ყველა დროის მოთხილამურეთა საუკეთესო სამეულში შედის და რა თქმა უნდა ლაჰტშიც უმაღლესი ტიტულების მთავარი პრეტენდენტი იქნება.

ისეთია საბჭოთა სპორტსმენების სავარაუდო მეტოქეთა ზუსტი ნუსხა. თუმცა შეჯიბრების პროცესში ყოველგვარი სიურპრიზია მოსალოდნელი.

## მძლეოსნობა

ლენინგრადში გაიმართა მოზარდ მძლეოსანთა საკავშირო ზამთრის ჩემპიონატი. [illegible] 100 მეტრზე [illegible] — 13,9. [illegible]

[illegible] რმატებას მიაღწია ლენინგრადელმა მოსწავლემ ნ. ბოჩინამ — 11,8.

400 მეტრზე რბენა მოიგო გროზნოელმა ლ. ტუზნიკოვამ — 55,9. 800 მეტრზე ფინიშთან პირველი [illegible] — 2.10,6.

[illegible] „სპარტაკის“ [illegible] მორიგი საერთაშორისო მძლეოსნური კროსი. ვაჟთა შორის 9300 მეტრზე გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა ვ. ცვიფელჰოფერმა — 25.28,9. მეორე ადგილზე [illegible] (გდრ), [illegible] ქალთა შორის 5000 მეტრზე [illegible] — 15.39,6.

# ფედერაციის პლენუმი

გაიმართა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმი, რომელიც [illegible] ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. პაიჭაძე. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

მოხდა ფედერაციის ახალი პრეზიდიუმის არჩევნები. მის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულ იქნა [illegible] ბ. პაიჭაძე.

# მიეძღვნა მოსკოვის ოლიმპიადას

მაინცი. (საკდესი). მოსკოვის 1980 წლის XXII ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა გფრ-ის ამ ქალაქში გამართული ტრადიციული სპორტული მეჯლისი.

„რეინგოლდჰალეს“ დიდ დარბაზში ჩატარებულ სპორტის ამ დღესასწაულს დაესწრნენ გფრ-ის პრეზიდენტი ვ. შეელი, ბუნდესტაგში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების გამოჩენილი მოღვაწეები, გფრ-ის სპორტის ხელმძღვანელები.

საღამოს დაესწრო, აგრეთვე, საბჭოთა დელეგაცია — ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. ნოვიკოვის მეთაურობით. საბჭოთა დელეგაციაში შედიოდნენ ლ. პახომოვა, ლ. ტურიშჩევა, ვ. ბორზოვი.

მეჯლისს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი გფრ-ში ვ. ფალინი.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს გფრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ვ. დაუმემ და მრავალგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გფრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ი. ნეკერმანმა. მათ წარმატება უსურვეს მოსკოვის ოლიმპიადას.

სიტყვა წარმოთქვა ი. ნოვიკოვმა. ზეიმის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტისა და საკდესის მიერ მომზადებული ფოტოგამოფენა „ოლიმპიური მოსკოვის“ გახსნა.

დამსწრეებმა იხილეს სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშის ცნობილი საბჭოთა ოსტატების — ე. მუხინას, ი. დერიუგინას, გ. შუგუროვასა და ვ. მარკელოვის საჩვენებელი გამოსვლები. საკონცერტო პროგრამით წარსდგა დონის კაზაკების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

მეჯლისზე გათამაშდა ოლიმპიადა-80-ის ტურისტული საგზური ორი ადამიანისთვის, რომელიც მაინისფრანკფურტელ ადვოკატ პეტერ ამენდს ერგო.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მეექვსე ტირაჟისა, რომელიც მოსკოვში 11 თებერვალს მოეწყო.

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 228, სამისთვის — 6.

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 5000 მანეთია, ოთხისთვის — 180, სამისთვის — 5.

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მეშვიდე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

„სპორტლოტო“: 8 (კრივი), 11 (ველოსპორტი), 12 (წყალ-სამოტორო სპორტი), 25 (ტრამპლინიდან ხტომა), 34 (ხელბურთი), 35 (სპიდვეი). შეღავათიანი ბურთულა — 33 (რეგბი).

„სპორტლოტო-2“: 2 (საავტომობილო სპორტი), 4 (ალპინიზმი), 10 (საზეურო სპორტი), 25 (ტრამპლინიდან ხტომა), 27 (მოტოსპორტი), 48 (ჭადრაკი). შეღავათიანი ბურთულა — 31 (ცურვა).



[illegible]

ტბილისის საშუალო სკოლის მოსწავლეები დასვენების დღეებში და გაკვეთილების შემდეგ ხშირად მიდიან კემეროვოს ოლქის სატყეო მეურნეობა „ნოვოკუზნეცკში“. ზამთარი აქ ხანგრძლივი და თოვლიანია, ამიტომ ხე-ტყის დამამზადებელთა ბავშვებს ძალიან მოსწონთ სათხილამურო სპორტი.

საკდესის ფოტო.

### შეჯიბრებები მოეწონათ...

მეტალურგთა, სამთოელთა და ქიმიკოსთა ახალგაზრდა ქალაქმა ალმალიკმა პირველად უმასპინძლა ასეთ წარმომადგენლობით შეჯიბრებას: გაზეთ „კომსომოლეც უზბეკისტანას“ პრიზებზე გამართულ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირში მონაწილეობდა 29 ქალაქის 240 ახალგაზრდა სპორტსმენი. როგორც ყოველთვის, ამ ტრადიციული ტურნირის შემდეგ გაიზარდა სპორტის ოსტატთა რიგები: დებულების მიხედვით ეს საპატიო წოდება მიენიჭა სამ პრიზიორს ყველა თანრიგში.

ალმალიკელებს შეჯიბრებები ისე მოეწონათ, რომ ტურნირის დამთავრებისთანავე ქალაქის ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩამოაყალიბეს ძიუდოს სამი სექცია.

ვ. პანკოვი,
საკდესის კორ.

ალმალიკი,
უზბეკეთის სსრ

### ასპარეზობენ ტურისტები

ვინ უფრო სწრაფად გაივლის მთიან, რთულ დისტანციას წინააღმდეგობათა ზოლით? ვინ უკეთ შეძლებს ბანაკის გაშლას, თვალსაჩინო აგიტაციის გაფორმებას, სიმღერას? ვისი კულინარული ხელოვნება დგას უფრო მაღლა? ყველა ამ კითხვას უპასუხა აშხაბადის თვალწარმტაც გარეუბანში ჩატარებულმა გასართობმა შეჯიბრებამ — ტურისტთა რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები, სტუდენტები და მოსწავლეები. გაიმარჯვა თურქმენეთის გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა, რომელსაც გარდამავალი თასი გადაეცა.

შეკრებისთვის მზადების პერიოდში და ფინალური ასპარეზობისას ათობით ჭაბუკმა და გოგონამ პირველად ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები.

ი. ბრიშინი,
საკდესის კორ.

აშხაბადი.

## საქვეყნო მოვლენა(?)

### საჩუქრად — სიმღერა

მშვილდოსნობაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონისა და რეკორდსმენის ზებინისო რუსტამოვას პირად კოლექციაში ბევრი ჯილდოა. ამ დღეებში მას „გადაეცა“ კიდევ ერთი თავისებური საჩუქარი — სიმღერა „პაიკონი“ („ისარი“), რომელიც კომპოზიტორმა ჰ. აბდულაევმა პოეტ ს. შოხზოდას ტექსტზე დაწერა.

ოლიმპიადა-80-ის გახსნისთვის ტაჯიკური მუსიკა სპორტულ თემებზე შექმნილი ახალი ნაწარმოებებით გამდიდრდება. ტაჯიკეთის კომპოზიტორთა კავშირმა გამოაცხადა კონკურსი ფიზკულტურასა და სპორტზე დაწერილი საუკეთესო ნაწარმოებისთვის.

ლ. ჩიგრინი,
საკდესის კორ.

დუშანბე.

## ჩემპიონატები, თასები, სიახლეები

### იტალია

17 ტურის შემდეგ განსხვავება ლიდერს „იუვენტუსსა“ და II ადგილზე მყოფ გუნდს შორის უკვე 4 ქულას შეადგენს. ეს „ტორინოს“ დამარცხების შემდეგ მოხდა.

„იუვენტუსი“ საკუთარ მინდორზე შეხვდა „ნაპოლის“ და ძნელი გამარჯვება მოიპოვა — 1:0. ამასობაში პირველი ლიგის დებიუტანტმა „პესკარამ“, რომელსაც ისევ ემუქრება ამ ლიგის დატოვება (მეთხუთმეტე ადგილზეა), თავის მინდორზე შეძლო „ტორინოს“ დამარცხება — 2:1.

ტურის დანარჩენი შეხვედრები: „ატლანტა“ (ბერგამო) — „ბოლონია“ 0:0, „ფიორენტინა“ — „ფოჯა“ 1:1, „ვერონა“ — „ლაციო“ (რომი) 2:2, „ინტერი“ — „ლანეროსი“ (ვიჩენცა) 2:0, „ჯენოვა“ — „მილანი“ 1:1, „რომა“ — „პერუჯა“ 2:0.

17 ტურის შემდეგ „იუვენტუსს“ 25 ქულა აქვს, „მილანს“, „ლანეროსისა“ და „ტორინოს“ — 21, „ინტერს“ — 20.

სნაიპერთა შორის 11 ბურთით წინ არის როსი („ლანეროსი“), პულიჩის („ტორინო“) 10 ბურთი აქვს გატანილი. გრაციანისა („ტორინო“) და რივერას („მილანი“) — 6-6 ბურთი.

### ბელგია

23 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა. 36 ქულით I ადგილზეა ჩემპიონი „ბრიუგე“. მას სამი ქულით ჩამორჩება „სტანდარდი“ (ლიეჟი). „ლიერსს“ 30 ქულა აქვს, ბრიუსელის „ანდერლეხტს“ — 29.

### პრეზიდენტის განცხადება

პერუს პრეზიდენტმა ბერმუდესმა განაცხადა: „ყველაფერი ნაკრებისთვის, მისი წარმატებისთვის არგენტინაში. ჩვენი ნაკრები — ეს ჩვენი ეროვნული სიამაყეა“.

მართლაც, პერუში გამალებული მზადებაა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, ყველა კლუბი ნაკრებისთვის მუშაობს, იქმნება სპეციალური კომისიები, რომლებიც ამოწმებენ არგენტინის მატჩების კანდიდატებს.

### მენოტის მოხსენება

ევროპიდან ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ შინ დაბრუნებულმა არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა სესარ ლუის მენოტიმ მოხსენება გააკეთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე. მენოტიმ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა ნახა ევროპაში, როგორ თამაშობენ იქ გადასული არგენტინელი ფეხბურთელები და ა. შ.

მენოტის აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის წინ არგენტინის ნაკრებს აუცილებლად დასჭირდება ამჟამად ევროპაში მოთამაშე სამი ფეხბურთელი. ესენი არიან პიაცა („სენტ-ეტიენი“), ვოლფი (მადრიდის „რეალი“) და კემპესი („ვალენსია“).

### ფიშტელმა აღიარა

**6 წლის** დუმილის შემდეგ ქ. ფიშტელმა, „შალკე-04“-ის ყოფილმა მცველმა, ქ. ესენის სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ 1971 წლის 17 აპრილს, მისი გუნდის ერთ-ერთ მატჩში, მოწინააღმდეგისგან ქრთამად მიიღო 2 ათასი მარკა.

## ფეხბურთი

### ესპანელთა გეგმები

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ ესპანეთის ეროვნულ ნაკრებს განზრახული აქვს ჩაატაროს რამდენიმე ამხანაგური მატჩი ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ნაკრებ გუნდებთან. 26 აპრილს ესპანელები მადრიდში მიიღებენ მექსიკის ნაკრებს, მომდევნო მატჩიც აქვე გაიმართება. მათი მეტოქე იქნება ნორვეგიის ან ჩეხოსლოვაკიის გუნდი. საბოლოოდ, ესპანელები 10 მაისისთვის შეიკრიბებიან და გეზს სამხრეთ ამერიკისკენ აიღებენ. აქ დაგეგმილია ორი მატჩი: 22 მაისს მონტევიდეოში ურუგვაის ნაკრებთან და 27 მაისს ამავე ქვეყნის ერთ-ერთ საკლუბო გუნდთან.

### ორი ჩემპიონატის მასპინძელი

**არგენტინა** არამარტო ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. აქ გაიმართება მსოფლიოს IV ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში 18 მარტიდან 2 აპრილამდე. ყველა 57 მატჩი შედგება ბუენოს-აირესის გარეუბან პალერმოს შვიდ მინდორზე. ფინალურ ტურნირში გამოვლენ გფრ-ის, არგენტინის, ავსტრალიის, ბელგიის, კანადის, ესპანეთის, ჰოლანდიის, ინგლისის, ირლანდიის, იტალიის, მალაიზიის, პაკისტანის, პოლონეთისა და მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონის ინდოეთის გუნდები. ჩემპიონატის შემდეგ თავს მოიყრის 80 ქვეყნის დელეგატი, რათა თამაშის ტექნიკური წესები განიხილონ, ახალი ხელმძღვანელობა აირჩიონ და 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ადგილი შეარჩიონ.

**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**

**18 თებერვალი**

## ფეხბურთი

**საერთაშორისო შეხვედრა**
**„დინამო“ (თბილისი) — „ოლიმპია“ (ლიუბლიანა, იუგოსლავია)**

დასაწყისი 15 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში: 17 თებერვალს — 10 საათიდან, 18 თებერვალს — 9 საათიდან. ადგილები დაუნომრავია.

1977 წლის ყველა სახის საშვი ძალაშია.

უამინდობის შემთხვევაში თამაში შედგება „ლოკომოტივის“ სტადიონზე (ი. ჭავჭავაძის პრ. № 74).

## „ტილტის“ მეხუთე სტარტი

პარიზის მუშათა გარეუბან ბულონ-ბიანკურის 25-მეტრიან აუზში წლეულს მეხუთედ მოეწყო მოცურავეთა შეჯიბრება, რომელიც „ტილტის“ სახელით არის ცნობილი. ამჯერად ამ ასპარეზობის სტარტზე ევროპის, ამერიკისა და აფრიკის 20 ქვეყნის სპორტსმენები შეგროვდნენ. ფაქტიურად თავიანთი გუნდების ძირითადი შემადგენლობანი გამოგზავნეს ამერიკელებმა, ჰოლანდიელებმა, ინგლისელებმა, კანადელებმა, დანიელებმა, დასავლეთ გერმანელებმა.

ვაჟთა შორის 1500 მეტრზე ცურვაში ევროპის ჩემპიონმა ვ. სალნიკოვმა ყველა მეტოქე საგრძნობლად ჩამოიტოვა — 15.12,69. მეორე ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენი ს. რუსინი (15.18,56) გავიდა. ამერიკელ ჯ. რეიდერს მხოლოდ მესამე ადგილი ერგო — 15.33,69.

200 მეტრზე თავისუფალი სტილით წინასწარ შეჯიბრებაში ლენინგრადელმა ს. კოპლიაკოვმა ასპარეზობის ახალი რეკორდი დაამყარა — 1.51,11. ფინალში ეს შედეგი სამმა გააუმჯობესა. მისმა თანაგუნდელმა ა. კრილოვმა რეკორდს 1,3 წამი ჩამოაჭრა. კოპლიაკოვს აჯობა იტალიელმა პ. რავეილიმაც — 1.50,36. კოპლიაკოვმა ამჯერად 1.51,02 აჩვენა.

ამავე მანძილზე კომპლექსურ ცურვაში გამარჯვებულ ჯ. ვასალოს (აშშ) — 2.05,66, ჟდანოველი ა. სიდორენკო ერთ წამზე ნაკლებით ჩამორჩა.

14 წლის ამერიკელმა გოგონამ ს. ვულპედმა ჯერ 800 მეტრზე შეჯიბრებაში ისახელა თავი — 8.27,32, ხოლო შემდეგ 400 მეტრზე (4.08,06) 25-მეტრიანი აუზებისთვის მსოფლიო მიღწევა დაამყარა. 200 მეტრზე გულაღმა ცურვა მოიგო ზ. ვერასტომ (უნგრეთი) — 2.03,68.

21 წლის ლენინგრადელმა სტუდენტმა ს. კრილოვმა მსოფლიო მიღწევით გაიმარჯვა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ფინალურ გაცურვაში — 3.51,3. 100 მეტრზე ამავე სტილით უძლიერესი იყო ჯ. ბაბაშოფი — 50,67, ხოლო 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — ჯ. ვასალო — 4.22,67.

ამ შეჯიბრებას სპორტსმენები მაღალ შეფასებას აძლევენ, რადგან იგი საერთაშორისო ტურნირებში ახალი სპორტული სეზონის პირველი ასპარეზობაა.

რედაქტორი
ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 09943